# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუბი სიფფვაა, ფფუილებით და ჭიბებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 21-23 მაისი. 2021 წ. №109-110 (9228-9229) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


## ქართველ ხალხს არავინ არაფერს გვეკითხება!



## „კოლექტიური პილატეები“ და შეწყალების რიგში მდგარი „ქართველი ბარაბები“ ③

## ჰესების მშენებლობის 95 პროცენტი გაჩერებულია! ④

**მოსახლეობას არ აინტერესებს ჰესი 1-მგვტ-იანი იქნება თუ 100-მგვტ-იანი, ყველას ეზრძვიან!**

## რატომ იხდის პენსიონერი სესხზე მაღალ პროცენტს?! ③

**როდის იგეგმება საპროცენტო განაკვეთის შემცირება?**

## 2021 წლის პირველ 4 თვეში საქართველომ უფრო მეტი ელექტროენერგია იყიდა, ვიდრე 2020 წელს მთლიანად! ④

## სანდრო სტაჟაძემ და ნიკოლოზ ტვილდიანმა აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემია დაამთავრეს

**არაფერი** წარმოაჩენს აშშ-საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში მტკიცე კავშირს ისე, **როგორც სანდრო სტაჟაძისა და ნიკოლოზ ტვილდიანის მიერ აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიის დამთავრება,** — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში სოციალურ ქსელში წერს.

აშშ-ის საელჩო ქართველ კურსდამთავრებულებს საქართველოს სანაპირო დაცვაში წარმატებით მსახურებას უსურვებს.

**„კურსდამთავრებულებს საქართველოს სანაპირო დაცვაში წარმატებით მსახურებას ვუსურვებთ. ისინი გაზრდიან საქართველოს სანაპირო სივრცის შესახებ ინფორმირებულობის დონეს, მის თავდაცვისუნარიანობასა და სიმტკიცეს. ასევე, წვლილს შეიტანენ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასა და წარმატებაში.**

**გილოცავთ“,** — წერს აშშ-ის საელჩო...

**გილოცავთ და გმადლობთ! — ვუდასტურებთ ჩვენ.**

ქართველთა ზეიმი (ფინა პლანზე) ამერიკულ აკადემიაში



## ლეონიდ პარფიონოვის შესანიშანავი ფილმი „ინ ქვევრი ვერიტას“...

**„იმედის“ ეთერში ქართული ღვინის შესახებ გადაღებული ფილმის პრემიერა შედგა. „ინ ქვევრი ვერიტას“** — ასე ჰქვია რუსი ჟურნალისტისა და ბლოგერის, ლეონიდ პარფიონოვის ახალ დოკუმენტურ ფილმს, რომელიც ქართული ტრადიციული მეთოდით დაყენებული ქართული ღვინის შესახებაა.

**გასულ წელს, „იმედის კვირასთან“ საუბრისას პარფიონოვმა განმარტა, რომ მისი დიდი ხნის ოცნებაა, მაყურებლისთვის ეჩვენებინა, საიდან გავრცელდა ევროპაში ღვინის ქვევრში დაყენების ტრადიცია. ფილმის გადაღებები, რომელიც ავტორმა 2020 წლის რთველს დაამთხვია, ძირითადად შატოებსა და ისეთ მეურნეობებში მიმდინარეობდა, სადაც ღვინოს სწორედ ქვევრში აყენებენ.**

დოკუმენტური ფილმის ავტორი მიიჩნევს, რომ სწორედ ასეთი მწარმოებლების დამსახურებაა, რომ დღეს ქართულ ღვინოს მთელი მსოფლიო იცნობს!..

# ირაკლი ღარიბაშვილი ესპანეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრს, პედრო სანჩესს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ესპანეთში ვიზიტის ფარგლებში, ესპანეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრს, პედრო სანჩესს შეხვდა,** — ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და ესპანეთს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების ყველა ძირითად მიმართულებაზე.

ხაზი გაესვა, რომ ესპანეთი საქართველოს მკაფიო და სერიოზული მხარდამჭერია ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა. აქვე, ესპანეთის პრემიერმა დაადასტურა მზაობა, რომ ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდეს ყველა დონეზე. გამოითქვა სურვილი, რომ გაღრმავდეს საქართველოსა და ესპანეთს შორის არსებული ეკონომიკური თანამშრომლობა. შეხვედრაზე დაიგეგმა, რომ უახლოეს პერიოდში განხორციელდება მაღალი დონის ვიზიტები, რომელსაც ასევე ექნება ბიზნეს კომპონენტი. ამ კუთხით ხაზი გაესვა, რომ მნიშვნელოვანია, ესპანური კომპანიები და ბიზნესწრეების წარმომადგენლები იყვნენ ჩართულები საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში.

საუბარი შეეხო კოვიდპანდემიით მსოფლიოში გამოწვეულ რთულ ვითარებას. ესპანეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრმა, გამოთქვა მზადყოფნა, ევროკავშირის პროექტებში ჩართულობის გზით, მომავალშიც დაეხმაროს საქართველოს, პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მონკლოას სასახლეში გამართულ შეხვედრას, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი, ზურაბ პოლოლიკაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ილია გიორგაძე ესწრებოდნენ.

## უახლოეს მომავალში გავმართავთ ბიზნესფორუმს, რათა მეტად დავაინტერესოთ ესპანური კომპანიები საქართველოს ბიზნესკლიმატით

**ჩემი კოლეგა პედრო სანჩესი საქართველოში მოვიწვიე და შევთანხმდით, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ გავმართავთ ბიზნესფორუმს, რათა კიდევ უფრო მეტად დავაინტერესოთ ესპანური კომპანიები საქართველოში არსებული ბიზნესკლიმატით,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ესპანეთის პრემიერ-მინისტრ პედრო სანჩესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

**„ძალიან კარგი შეხვედრა მქონდა ესპანეთის პრემიერ-მინისტრთან. ჩვენ ვისაუბრეთ ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესების საკითხებზე, ასევე მიმოვიხილეთ ისეთი აქტუალური საკითხები, რომლებიც არის კოვიდპანდემიასთან ბრძოლა და ორმხრივი ურთიერთობები ეკონომიკის დარგში. ჩემი კოლეგა საქართველოში მოვიწვიე და ასევე შევთანხმდით, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ გავმართავთ ბიზნესფორუმს, რათა კიდევ უფრო მეტად დავაინტერესოთ ესპანური კომპანიები საქართველოში არსებული ბიზნესკლიმატით. ჩვენი მონაწილეობა FITUR-ის გამოფენაზე იყო ძალიან მნიშვნელოვანი, იქიდან გამომდინარე, რომ დღეს მსოფლიო უკვე იხსნება და ჩვენ უნდა ვიყოთ მზად, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივიღოთ ტურისტები საქართველოში“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## მადლობა ზურაბ პოლოლიკაშვილს, რომელიც არის მთელ მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ელჩი!

**მინდა** ვისარგებლო შემთხვევით და მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით კიდევ ერთხელ გულწრფელად მადლობა გადავუხადო ზურაბ პოლოლიკაშვილს, **რომელიც არის მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მე ასე ვიტყოდი, მთელ მსოფლიოში არის საუკეთესო ელჩი ჩვენი ქვეყნისა,** — ამის შესახებ საქართველოს პემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ის ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ახორციელებს და საქართველოს ძალიან დიდი მხარდამჭერია.

## არჩილ თალაკვაძე: კახა კუჭავამ ბრიუსელში უმაღლეს დონეზე განიხილა საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხი და პოზიტიურად წარადგინა ქვეყანა

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, არჩილ თალაკვაძის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ, კახა კუჭავამ ბრიუსელში უმაღლეს დონეზე განიხილა საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხი და პოზიტიურად წარადგინა საკუთარი ქვეყანა.

**„პარლამენტის თავმჯდომარის პირველი სამუშაო ვიზიტი ევროპაში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენი ხელისუფლება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის ერთგულია და „ქართული ოცნება“ მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკური გუნდია. ვიზიტი სწორ დროს და სწორი პრიორიტეტებით იყო დაგეგმილი, რისთვისაც პარლამენტის საგარეო გუნდი და საგარეო საქმეთა სამინისტრო დადებით შეფასებას იმსახურებენ. მნიშვნელოვანი იყო, რომ კახა კუჭავამ დელეგაციაში საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი ლევან იოსელიანი მიიწვია“,** — განაცხადა თალაკვაძემ.

## კარლ ჰარცელი: ველოდებით „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებას და იმედი გვაქვს, რომ მათ ვნახავთ პარლამენტში

საქართველოში ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელის განცხადებით, შარლ მიშელის შეთანხმების განხორციელებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

**„პოზიტიურად ვუყურებ ამ ყველაფერს იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარეობს შეთანხმების განხორციელება. პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ოპოზიციას, ასევე მმართველ პარტიას. მიმდინარეობს ძალაუფლების გადანაწილების პროცესი და უკვე არის რეალური ნაბიჯი იმისთვის, რომ პარლამენტმა სრული შესაძლებლობებით იმუშაოს. ჩვენ ველოდებით „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებას და იმედი გვაქვს, რომ მათ ვნახავთ პარლამენტში, იმიტომ რომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა განხილვებში“,** — განაცხადა ჰარცელმა.

## ირაკლი ქადაგიშვილი: ამ სრული ფიასკოდან გამოსავალი არ აქვთ და იმალებიან, ჩირგვებში აქვთ თავი ჩაყოფილი

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ქადაგიშვილმა არჩევნების შემსწავლელ კომისიაზე ოპოზიციის უართან დაკავშირებით განაცხადა.

მისივე თქმით, ოპოზიციონერები სწორედ იმ ფაქტს ემალებიან, რომ საგამოძიებო კომისია ყველა დანაშაულსა და გადაცდომას გამოიძიებს.

**„ამ სრული ფიასკოდან გამოსავალი არ აქვთ და იმალებიან, ჩირგვებში აქვთ თავი ჩაყოფილი. კომისია, რომელმაც თამარ ჟვანიადან დაწყებული ნებისმიერი მოხელის დანაშაული და ნებისმიერი გადაცდომა უნდა გამოიძიოს, ამას ემალებიან და ზოგადი, არაფრისმთქმელი განცხადებები აქვთ თამარ ჟვანიასა და სხვა პირებზე. აქედან გამომდინარე, სათქმელი მათ არც არაფერი აქვთ“,** — განაცხადა ქადაგიშვილმა.

## გიორგი ვაშაძე: საარჩევნო რეფორმის ამ მასშტაბის ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა

ისეთ ცვლილებებს ვაკეთებთ, ფაქტობრივად, მათ არჩევნების გასაყალბებლად ბერკეტი არ ექნებათ, — ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ გუშინ განაცხადა.

**„ეს შეეხება როგორც პროცედურებს, ასევე, ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლობების პარიტეტს; ტექნოლოგიებს, რომლებიც თვითმმართველობის არჩევნებზე პირველად იქნება გამოყენებული და ჩვენი ხმების დაცულობას უზრუნველყოფს.**

**რაც შეეხება თამარ ჟვანიას, ისეთ ცვლილებებს ვაკეთებთ, ფაქტობრივად, მათ არჩევნების გასაყალბებლად ბერკეტი არ ექნებათ. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება 2ჰ3-ის უმრავლესობით, სადაც ოპოზიციური ხმების გარეშე ცესკო, როგორც კოლეგიური ორგანო, ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს“,** — განაცხადა ვაშაძემ.

## თეა წულუკიანი: არჩევნები რომ არ გაყალბებულა, ეს უკვე ბავშვმაც კი იცის საქართველოში და მის მიღმაც!

**ამის** შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

მისი თქმით, რადგან ოპოზიცია პარლამენტში შევიდა, მათ უკვე დაადასტურეს, რომ არჩევნები არ გაყალბებულა.

**— რა თქმა უნდა, პირველივე დღიდან ამას ვამბობდით ჩვენ და მივუთითებდით იმაზე, რომ ის ხარვეზები, რომელიც იყო, არავითარ შემთხვევაში არ ახდენს გავლენას არც პროცესის გამჭვირვალობაზე, არც მის კონკურენტულობასა და, რა თქმა უნდა, არც შედეგზე. ახლა ჩვენ გვაქვს სახეზე ის, რომ პასუხისმგებლიანი ხელისუფლება, მიუხედავად ამისა უკვე მრავალი თვეა ოპოზიციას სთავაზობს, რომ საგამოძიებო კომისია თავად შექმნან და გადაამოწმონ ეს შედეგები. შევიდა ოპოზიციის დიდი ნაწილი პარლამენტში, მაგრამ როგორც კი მათთვის ხელმისაწვდომი გახდა ეს სამართლებრივი ბერკეტი, მის გამოყენებაზე ამბობენ უარს. ეს არის მათი დესტრუქციული დღის წესრიგის პრიორიტეტი. მთავარი მიმართულებაა, რომ ილაპარაკონ გაყალბებაზე, მაგრამ როდესაც ეუბნები შეამოწმეო და საგამოძიებო კომისია, არ არის ხელწამოსაკრავი ინსტრუმენტი, არ უნდათ. ჩვენ ოპოზიციაში ყოფნის დროს ასეთ ფუფუნებაზე ვერც ვიოცნებებდით, მათ ეს აქვთ, მაგრამ არ იყენებენ, იმიტომ, რომ ეშინიათ შედეგის. შედეგი იქნება ის, რომ არჩევნები არ გაყალბებულა“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

# „ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲘᲚᲐᲢᲔᲔᲑᲘ“ ᲓᲐ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ „ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲑᲔᲑᲘ“

**ᲕᲜᲔᲑᲘᲡ** კვირის შაბათი სახლში გავატარე. ეკლესიაში წასვლაზე,ადრევე უარი ვთქვი. გადავწყვიტე ტელევიზიით მედევნებინა თვალი სააღდგომო ღმრთისმსახურებისთვის.

არ ვიცი რომელმა არხმა, 1977 წელს გადაღებული ფილმი „იესო ნაზარეველი“ შემოგვთავაზა.

თავიდან ბოლომდე ვუყურე ფილმს, რომელიც არაერთხელ მინახავს, ბევრი მიფიქრია მასზე, მაგრამ ამჯერად სულ სხვანაირად აღვიქვი იგი.

ამჯერად, რომაელმა (იმჟამად ებრაელთა სამშობლოს დამპყრობელმა) „პროკურატორმა პილატემ“ და მისმა მსჯელობებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება.

გვიან მივხვდი, რომ, ეს არ არის გასაკვირი, რადგან 2000 წლის შემდეგ, საქართველოში მეორდება ისტორია, სადაც **„კოლექტიური პილატეები“**: **აშშ და ევროგაერთიანება** მსაჯულობენ, ისინი განსჯიან და წყვეტენ, თანამედროვე, ქართველი „იესოს“ და ქართველი „ბარაბას“ ბედს!

რამდენჯერმე დავატრიალე „რომაელი პილატეს“და იუდეველთა სულიერი მამების კამათის სცენები, სადაც „რომაელი პილატე“თავგამოდებით ცდილობს უცოდველი, ებრაელი „იესოს“ გადარჩენას, ებრაელთა სულიერი მამები კი, „უცოდველი იესოს“ დასჯას და „ყაჩაღი და კაცისმკვლელი ბარაბას“ შეწყალებას მოითხოვენ!

მიუხედავად, „რომაელი პილატეს“დიდი ძალისხმევისა, ებრაელები თავისას გაიტანენ – „უდანაშაულო იესოს“ გაწირავენ, „ყაჩაღ და კაცისმკვლელ ბარაბას“ შეიწყალებენ!

**ᲕᲐᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲑᲔᲓᲡ, 2000 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲫᲕᲔᲚᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲛᲐ „ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲛᲐ ᲞᲘᲚᲐᲢᲔᲔᲑᲛᲐ“, ᲐᲨᲨ-Მ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐᲛ, 2000 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ, „ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲘ ᲞᲘᲚᲐᲢᲔᲡᲒᲐᲜ“ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲣᲞᲘᲠᲝᲑᲝᲓ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ „ᲑᲐᲠᲐᲑᲐ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲠᲝᲛ,ᲛᲐᲡ ᲐᲛ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲐᲡ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲙᲘ ᲘᲒᲘ ᲫᲕᲔᲛᲬᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲣᲗᲣᲝᲓ ᲘᲖᲐᲛᲓᲐ!**

დააკვირდით: 2000 წლის წინ, რომაელ დამპყრობთა „პროკურატორმა პილატემ“, მიუხედავად ებრაელთა დაჟინებული მოთხოვნისა, არ დასაჯა „უცოდველი იესო“ და მისი ბედი ებრაელებს მიანდო, რომლებმაც „ყაჩაღი და კაცისმკვლელი ბარაბა“ შეიწყალეს!

შეადარეთ: 2000 წლის წინანდელი „პილატე“, აშშსა და ევროგაერთიანების მიერ საქართველოში მოვლენილ „პილატეებს“, რომლებსაც ქართველი ხალხი არც ახსენდებათ და პირდაპირ ავალებენ ქვეყნის მთავრობას, პარლამენტს და პრეზიდენტს:

**ᲣᲪᲝᲓᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲧᲐᲩᲐᲦᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ „ᲑᲐᲠᲐᲑᲔᲑᲘ“ ᲨᲔᲘᲬᲧᲐᲚᲝᲜ, ᲗᲝᲠᲔᲛ, ᲛᲐᲗ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲔᲑᲐᲗ!**

(გაიხსენეთ: **ჰალიფაქსის საერთაშორისო უსაფრთხოების ფორუმის** ვიცე-პრეზიდენტ **რობინ შეპარდის** უაპელაციო განცხადება: გავიხსენოთ აგრეთვე **„კონგრესს აქვს ბერკეტები, რომ საქართველოს მთავრობას ცხოვრება გაურთულოს“**. **„ევროპის სახალხო პარტიის ულტიმატუმები“** და სხვა...)

როგორც ზემოთ ვახსენე, ფილმი ბოლომდე ვნახე.საადგომო ეპისტოლეც მოვისმინე, პირჯვარიც გარდავისახე, ქვეყნის და მისი მოსახლეობის გადარჩენაც შევთხოვე უფალს, მაგრამ კარგა ხანია არ მძინავს:

რომაელი „პროკურატორი პილატე“ მესიზმრება, 2000 წლის წინ ებრაელი ერის „სულიერ მამებს“ მათსავე შვილს „უცოდველ იესოს“ რომ არ უთმობდა სასიკვდილოდ, მაგრამ ებრაელებმა „ყაჩაღი და კაცისმკვლელი ბარაბა“ შეიწყალეს მაინც!

სამწუხაროდ,ეს 2000 წლიანი ტრაგიკული ისტორია აქ არ მთავრდება:

2000 წლის წინ,ერთ „ბარაბას“ ანაცვალეს ებრაელებმა „უცოდველი იესოს სული“, საქართველოში კი, „ბარაბების“ არმია დგას რიგში, ევრო-ამერიკელ „პროკურატორ-პილატეების“ ოფისებთან!

2000 წლის წინანდელი ებრაელი ერის არ იყოს, დიდი იმედი არ მაქვს, ჩვენ, ქართველებმა უკეთესი გზა ავირჩიოთ!

არადა, საქართველოს ერთადერთი, ხალხის არჩეული პრეზიდენტი, სულმნათი **ზვიად გამსახურდია** 1990 წლის 26 მაისს გვაფრთხილებდა, რომელ გზას უნდა გაჰყოლოდა ქართველი ერი:

**„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲠᲝ, ᲗᲔᲜ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲒᲖᲐ. ᲐᲘ, ᲒᲖᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ, ᲐᲘ ᲒᲖᲐ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡᲐ, ᲖᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ, ᲐᲘ ᲒᲖᲐ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲐ, ᲐᲘ ᲒᲖᲐ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲜᲙᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲘ ᲒᲖᲐ ᲧᲐᲩᲐᲦᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲐᲙᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐ, ᲐᲘ ᲒᲖᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲖᲛᲘᲡᲐ!**

**ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲠᲝ, ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲝ, ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ, ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲔᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲡ!**

**ᲒᲐᲘᲚᲕᲘᲫᲔ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲠᲝ!**

**ᲒᲐᲘᲚᲕᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲰᲧᲕᲘᲗ ᲒᲖᲐᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡᲐᲡ, ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲡ, ᲐᲛᲘᲜ!“**

დღევანდელობისგან განსხვავებით, ვერავინ იტყვის ,31 წლის წინ, არჩევანის თავისუფლება არ გვქონდაო!

სამწუხაროდ, ღმრთის პირით ნაღაღადევი შეგონება უარვყავით მაშინ და ასე აღმოვჩნდით ცხრა მთას გაღმიდან მოსულ განმრიგეთა ხელში.

ამასობაში, ზემოთნახსენები **„კოლექტიური პილატეები“** მოთმინებით ელოდებიან შესაწყალებელ **„ავაზაკ ბარაბებს“**!

თითქოს, ყველაფერი ისე ხდება, როგორც 2000 წლის წინანდელ ისრაელში. ოღონდ, ისრაელისგან განსხვავებით, ქართველს არავინ ეკითხება ვინ უნდა შეიწყალოს:

**„ᲘᲔᲡᲝ ᲦᲛᲔᲠᲗᲙᲐᲪᲘ“** თუ **„ᲑᲐᲠᲐᲑᲐ ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲘ“**!

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲝᲑᲐᲚᲘᲐ,**
**ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘ.**

# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲮᲓᲘᲡ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲡᲔᲡᲮᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ?!

## ᲠᲝᲓᲘᲡ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲝ ᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ?

**2020 ᲬᲚᲘᲡ მონაცემებით, საქართველოში 783,7 ათასი ასაკით პენსიონერია და თითქმის ნახევარი საპენსიო სესხით სარგებლობს. საპენსიო სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 30%-ს აჭარბებს.**

პენსიონერებისთვის მაღალპროცენტიანი სესხის გაცემა კრიტიკის საგანი არაერთხელ გამხდარა, სოციალურ ქსელშიც უამრავი მაგალითი ქვეყნდება, თუ როგორ უწევთ წლების განმავლობაში პენსიონერებს სესხის პროცენტის დაფარვა. „ლიბერთი ბანკი“, ეროვნული ბანკი და მთავრობა განმარტავს, რომ პროცენტის შესამცირებლად რისკის დაზღვევაა საჭირო, ამას კი საკუთარ თავზე არც სახელმწიფო და არც კერძო კომპანია, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული, არ აიღებს.

**ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲙᲝᲑᲐ ᲒᲕᲔᲜᲔᲢᲐᲫᲔ** ამბობს, რომ 2012 წლიდან დღემდე სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 200%-დან 33%-მდე ჩამოვიდა. მისი თქმით, საპენსიო სესხები მთლიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობის, დაახლოებით, 1.1%-ია. სებ-ის პრეზიდენტი განმარტავს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში გატარებული საკანონმდებლო და რეგულაციური ცვლილებების შედეგად, ამ კატეგორიის სესხების განაკვეთები მცირდება.

„ᲒᲐᲓᲐᲕᲮᲔᲓᲝᲗ Ე.წ. ᲡᲐᲞᲔᲜᲡᲘᲝ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲝ ᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐᲡ:

- **2012-2013 წლებში იყო სესხები, რომლებიც 100%-დან 200%-მდე ეფექტური განაკვეთით გაიცემოდა;**
- **2014 წელს სესხები გაიცემოდა 53%-იანი ეფექტური განაკვეთით, თუმცა გარკვეული სესხები – 80%-იანი ეფექტური განაკვეთის ფარგლებში;**
- **2015 წელს საშუალოდ 50%-იანი ეფექტური განაკვეთით გაიცემოდა სესხები, რიგ შემთხვევებში 80%-ის ეფექტური განაკვეთით;**
- **2016 წლიდან მოყოლებული ეტაპობრივად იკლებს პორტფელზე საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი; 2017 წლის ბოლოსთვის პორტფელზე საშუალოდ 49,6-დან 41,7%-მდე შემცირდა.**
- **2018 წლის მაისიდან ბანკი იწყებს ისევ პროცენტის შემცირებას და 42 ეფექტურიდან 33 ეფექტურამდე მცირდება,** – განმარტავს სებ-ის პრეზიდენტი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ ფინანსთა სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა, სოციალური მომსახურების სააგენტომ ერთობლივად იმუშაონ იმ მექანიზმებზე რათა პენსიონერთა სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება მოხდეს. **საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲕᲖᲐᲜᲐᲫᲔ** ამბობს, რომ პენსიონერებისთვის სესხზე საპროცენტო განაკვეთი და ვალის ტვირთი მაღალია და პენსიონერების ყოფითი მდგომარეობა უნდა შემსუბუქდეს.

**„ᲚᲘᲑᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ“ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲮᲝᲓᲔᲚᲘ** კი ამბობს, რომ დღეს ამ კრედიტების ეფექტური წლიური განაკვეთები საშუალოდ 30.65%-ს შეადგენს, რაც არც ძვირია და არც იაფი, არამედ „საბაზრო“ განაკვეთია. მისი თქმით, საშუალოდ საპენსიო სესხების მოცულობა 1000-დან 2000 ლარამდეა. ჩვეულებრივ საბანკო სისტემაში მსგავსი სესხების განაკვეთი 24%-დან 25%-მდეა, თუმცა ხანდაზმულთა შემთხვევაში კრედიტს ემატება სპეციალური დაზღვევის ღირებულებაც, რაც საპროცენტო განაკვეთში არის ასახული.

**„თუკი 60 წლამდე მოსახლეობაში კრედიტორთა გარდაცვალების წილი არის 0.4%, 60 წელზე ხანდაზმულ მოსახლეობაში მათი სესხის დაფარვის პერიოდის განმავლობაში გარდაცვალების კოეფიციენტი არის 5.4%, რაც 60 წლამდე კრედიტორების გარდაცვალების წილს 14-ჯერ აღემატება, სწორედ ამის გამო ხანდაზმულთა სესხების განაკვეთი 30.65%-ია. მაღალია თუ დაბალი განაკვეთი, ამას განსაზღვრავს ბაზარი. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის საბაზრო განაკვეთი. ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთია 30.65% – ამაში შედის საკომისიოების ღირებულებაც, საშუალო ზომა ამ სესხების არის 1000-დან 2000 ლარამდე. ამ სესხის კომპონენტი არის დაზღვევა – დაზღვევა ნიშნავს იმას, რომ თუკი ადამიანი, რომელსაც ეს კრედიტი ჰქონდა აღებული, ღმერთმა დაიფაროს და ამ ცხოვრებიდან მიდის, ამ კრედიტის დაფარვის ვალდებულება მის მემკვიდრეებს არ აქვს.**

**ჩემი მონაცემებით, გარდაცვალების კოეფიციენტი 60 წელს ზევით მოსახლეობაში არის 5.4%, 50 წელზე დაბლა სეგმენტში კი არის 0.4%. შესაბამისად 14-ჯერ მეტია გარდაცვალების კოეფიციენტი 60 ასაკში“,** – განაცხადა ვასილ ხოდელმა.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, პენსიონერთა სესხებზე პროცენტის გადახედვა დიდი ალბათობით ახალ საპენსიო ტენდერამდე არ მოხდება, რომელიც 2022 წელს უნდა ჩატარდეს და მასში მონაწილეობის საშუალება სხვადასხვა კომერციულ ბანკს ექნება. სპეციალისტების აზრით, კონკურენციამ თავის მხრივ შესაძლოა საპენსიო სესხების გაიაფებაც გამოიწვიოს.

№ 109-110. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ-ᲙᲕᲘᲠᲐ, 21-23 ᲛᲐᲘᲡᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

# ᲰᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ 95 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

**ᲫᲕᲔᲚᲘᲐᲜᲐᲨᲘ ᲰᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ თვალსაზრისით სრული კოლაფსია. ნამოხვანჰესის ირგვლივ შექმნილ დაძაბულობას რომ თავი დავანებოთ, პრობლემები ექმნება მცირე და საშუალო ჰესების პროექტებსაც. დღეს მოსახლეობას აღარ აინტერესებს ჰესი ერთ მეგავატიანი იქნება, ორიანი თუ 100-მეგავატიანი, ყველას ერთნაირად ებრძვიან.**

მცირე და საშუალო ჰესების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲔᲑᲐᲫᲔ** აცხადებს, რომ საპროტესტო აქციების გამო საქართველოში უამრავი ჰესის პროექტია შეჩერებული. პრობლემა ისაა, რომ მცირე ჰესებსაც ზუსტად იგივე წინააღმდეგობა ხვდება, რაც დიდ ჰესებს და მოსახლეობა მათ შემთხვევაშიც ამბობს, რომ კაშხალი გასკდება და „წალეკავს ქვეყანას“.

**„უამრავი ჰესია შეჩერებული მსგავსი პროტესტის გამო — დაახლოებით ეს არის 4 მილიარდი დოლარის ინვესტიცია და 20 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი. მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურები რადიკალურად განსხვავდება დიდი ჰესებისგან. აქ კაშხალი არ შენდება, თუმცა პრობლემები არის იგივე, ეუბნებიან მოსახლეობას, თითქოს უნდა გაიჩეხოს ხეები, დაიტბოროს სოფლები. როცა ვცდილობთ მოსახლეობისთვის ახსნას, რომ ეს ყველაფერი სიმართლე არ არის, ყურადღებას არ აქცევენ, რადგან თემა — ჰესი — არის დემონიზებული“,** — განაცხადა გიორგი მარგებაძემ.

მან მაგალითად მოიყვანა „ლოპოტა-ჰესი“, რომელიც მხოლოდ 6 მეგავატიანია. მარგებაძის თქმით, ასოციაცია მუდმივად ცდილობს ადგილობრივებთან და ჰესის მოწინააღმდეგეებთან დიალოგს, მაგრამ ამაოდ!

ახლა ყველაზე დიდი პროტესტი ნამოხვანჰესისკენ არის მიმართული. ყველანაირი მოლაპარაკება ჩიხშია შესული. ვითარება იმდენად დრამატულია, რომ საქმეში ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანება ჩაერთო. რამდენად მაღალია მათდამი ნდობა, ეს მალე გამოჩნდება.

ევროკავშირის ენერგეტიკული უწყება მზადაა ნამოხვანჰესის პროექტთან დაკავშირებით არსებულ სადისკუსიო პროცესში ჩაერთოს. ამის შესაბამისი განცხადება უკვე გაკეთდა, სადაც ნათქვამია, რომ ევროკავშირის ენერგოგაერთიანება ნებისმიერ მხარეს შეხვდება. რიონის ხეობის მცველები კი აცხადებენ, რომ მათთან კომუნიკაცია ჯერ-ჯერობით არავის ჰქონია.

ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დირექტორის მოადგილე, დავების განხილვისა და მოლაპარაკებების ცენტრის თავმჯდომარე **ᲓᲘᲠᲙ ᲑᲣᲨᲚᲔ**, გარემოს დაცვის ექსპერტ **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲑᲣᲯᲐᲠᲝᲡ-ᲙᲐᲡᲗᲐᲜ** თანამშრომლობით და საქართველოს მთავრობის მოწვევით, ჩაერთვება „ნამოხვანიჰესის“ პროექტთან დაკავშირებით არსებულ სადისკუსიო პროცესში, იქნება შუამავალი მხარეებს შორის და აღნიშნულ პროცესს წარმართავს ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობისა და საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან მიმართებით ყველა დოკუმენტისა და პროცედურების შეფასების მიზნით.

**„ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანება არ არის მხოლოდ მთავრობათა ან პროექტების განმახორციელებელთა გაერთიანება. ჩემი მიზანია მოლოდინების შესაბამისად, რაც შეიძლება სწრაფად და მარტივად მოვიძიოთ გამოსავალი. ამ პროცესში ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ყველას მიეცეს აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და ყველა გამოწვევა იყოს თავმოყრილი. პარალელურად, სამდივნო განიხილავს გარემოსდაცვითი პროცედურების დაცვით მომზადებულ დოკუმენტაციას“,** — აღნიშნავს დირკ ბუშლე ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების რელიზში, რომლის მიხედვითაც ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს არაერთხელ მიმართეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და გამოხატეს შეშფოთება ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტის გარემოზე ზემოქმედებისა და უსაფრთხოების თაობაზე.

## ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲰᲔᲡᲘ 1-ᲛᲒᲕ-ᲘᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ 100-ᲛᲒᲕᲢ-ᲘᲐᲜᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ!

რიონის ხეობის მცველები კი ამბობენ, რომ მათ ევროკავშირის ენერგოგაერთიანების მზადყოფნის შესახებ ჯერ არაფერი იციან, რადგან მათთან კონტაქტზე არავინ გასულა. ისინი მზად არიან დიალოგისთვის, თუმცა რატომღაც არავინ უკავშირდება.

**ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**

# 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ 4 ᲗᲕᲔᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲘᲧᲘᲓᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ!

**ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ იმპორტმა 2021 წლის იანვარ-აპრილში 1.697 მლრდ კვტ/სთ-ს მიაღწია, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 118%-ით, მთელი 2020 წლის ჯამურ მაჩვენებელს კი 5.4%-ით აღემატება. ამ მოცულობის ელექტროენერგია საქართველოს არცერთ ცალკე აღებულ წელს არ უყიდია. იმპორტის მკვეთრი მატება ერთის მხრივ ენგურჰესის სარეაბილიტაციოდ 3 თვით გაჩერებამ და მეორეს მხრივ აფხაზეთში გაზრდილმა კრიპტომაინინგმა განაპირობა.**

20 იანვარს ენგურჰესი სარეაბილიტაციოდ გაჩერდა. გაჩერების დრო სპეციალურად მცირე გენერაციის პერიოდში შეირჩა. თუ შარშან თებერვალ-მარტში ენგურჰესმა 240 მლნ კვტ/სთ გამოიმუშავა, ივნის-ივლისში გენერაცია 220%-ით 768 მლნ კვტ/სთ-მდე გაიზარდა. სადგურმა მუშაობა 28 აპრილს განაახლა. რეაბილიტაციის პროცესში შეკეთდა სადერივაციო გვირაბის ნაწილი. ეკონომიკის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ დანაკარგები 20-30 პროცენტით შემცირდება და წლიური გამომუშავება 90 მლნ კვტ/სთ-ით გაიზრდება. რეაბილიტაცია ჯამში 45 მლნ ევრო დაჯდა, საიდანაც 7 მლნ ევრო ევროკომისიის გრანტია, 38 მლნ კი — იბიარდის კრედიტი.

**ენგურჰესი, გარდა იმისა რომ საქართველოში ყველაზე დიდი ელექტროსადგურია, რომლის წილიც ჯამურ გენერაციაში 30-დან 40 პროცენტამდე მერყეობს, (პროცენტული სხვაობა ახალი გენერაციის ობიექტების ამოქმედებასთან ერთად თავად ენგურისა და სხვა მდინარეების წლიური ჩამონადენითაა განპირობებული), პოლიტიკური დატვირთვის მატარებელიცაა. სადგურის ნაწილი, კერძოდ სამანქანო დარბაზი ოკუპირებული აფხაზეთის მხარესაა მოქცეული. 90-იან წლებში მხარეებს შორის არაოფიციალური შეთანხმება გაფორმდა, რომლის ძალითაც აფხაზეთს გენერაციის 40% უნდა შეხვედროდა. შეთანხმება ბოლო წლებში სისტემატურად ირღვევა. ზამთრის პერიოდში თბილისი ოკუპირებულ რეგიონს ენგურჰესის გამომუშავების 100%-ს აწვდის და დამატებით ელექტროენერგიას მისთვის რუსეთიდან ყიდულობს.**

იმპორტირებული 1.697 მლრდ კვტ/სთ-დან 54.4% — 924 მლნ კვტ/სთ, აფხაზეთში გაიგზავნა. ოთხ თვეში რეგიონმა 1.155 მლნ კვტ/სთ მოიხმარა, — 24%-ით მეტი, ვიდრე თბილისმა.

იმპორტის ზრდა ქვეყანას მეზობლებზე, მათ შორის რუსეთზე იმპორტ და ენერგოდამოკიდებულს ხდის. წელს რუსეთის წილმა იმპორტში 61%-ს გადააჭარბა.

**პანდემიისა და კოვიდრეგულაციების შედეგად შემცირებული მოთხოვნის გამო, ელექტროენერგიაზე ფასები შემცირებულია, თუ გასული წლის პირველ კვარტალში 744 მლნ კვტ/სთ-ში საქართველომ 429 მლნ გადაიხადა, ანუ კილოვატში 3.9 ცენტი, წელს 1.438 მლრდ კვტ/სთ 431.7 მლნ დაუჯდა, ანუ 1 კვტ/სთ — 2.2 ცენტი. ფასების ვარდნა დროებითია და მოთხოვნის გაზრდისთანავე დაკორექტირდება, რაც სხვა ყველაფერთან ერთად იმასაც ნიშნავს, რომ ქვეყნიდან უფრო მეტი დოლარი გავა და ლარზე ზეწოლა გაიზრდება.**

საქართველოს ეკონომიკა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იწყებს აღდგენას. 2020 წლამდე ენერგომოხმარებას მზარდი ტენდენცია გააჩნდა. წელს პირველ 4 თვეში აფხაზეთის გამოკლებითაც მოხმარება 3.9%-ით გაიზარდა. აფხაზეთის ჩათვლით 4.5%-ით. ზრდა მომდევნო წლებშიც გაგრძელდება. გენერაციის ახალი ობიექტების გარეშე ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა ავტომატურად ენერგოდეფიციტისა და იმპორტის ზრდას ნიშნავს.

**მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში რამდენიმე საშუალო სიმძლავრის ჰესი ამუშავდა — „ლარსი ჰესი“, „ფარავანჰესი“, „დარიალჰესი“, „შუახევჰესი“... ასევე გარდაბანი 1 და გარდაბანი 2 თბოსადგურები, მოთხოვნა გამომუშავებაზე სწრაფად იზრდებოდა. ნენსკრაჰესი 2021-ის მაგივრად საუკეთესო შემთხვევაში 2025 წელს დასრულდება, ნამახვანჰესი დაპაუზებულია, ცხენისწყლისა და ონის ჰესების კასკადი მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება. ხუდონჰესის პროექტი ოფიციალურად არ გაუქმებულა, მაგრამ არც წინ წასულა...**

ალტერნატიული ენერგიებიდანაც გორში მდებარე ქარის ელექტროსადგური ჯერჯერობით ერდადერთია, რომლის წილიც ჯამურ გენერაციაში 0.8%-ზე ნაკლებია. მზის ელექტროსადგური კი საერთოდ არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით სახურავებზე განთავსებულ პანელებსა და ცალკეულ მიკროსიმძლავრეებს, რომელთა ჯამური გამომუშავება წლიურად 5 მლნ კვტ/სთ-ზე ნაკლებია და ბალანსზე საერთოდ ვერ ახდენს გავლენას. ქარისა და მზის ჯამური ეკონომიკურად მომგებიანი პოტენციალი კი 4 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენს, ათვისებულზე მინიმუმ 40-ჯერ მეტს, თუმცა მათი სრულად გამოყენებისთვის დამატებითი მარეგულირებლიანი სიმძლავრის ქონაა აუცილებელი, ასეთი კი შეიძლება იყოს თბოსადგური, ატომური ელექტროსადგური ან წყალსაცავიანი ჰესი.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

◎ ჭიდაობა

# ბალკანური ჯილდოები

**სამი** **მედლითა და გუნდური მეოთხე ადგილით დაასრულეს გამოსვლა ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ზურაბ ჭიღლაძის გაწვრთნილმა საქართველოს 23 წლამდე ასაკის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრებმა.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გორელი **თეიმურაზ ვანიშვილი** (61 კგ) ავიდა, ხოლო „ბრინჯაო“ **რამაზ თურმანიძემ** (57 კგ, აჭარა) და **ვლადიმერ გამყრელიძემ** (74 კგ, ამბროლაური) მოიპოვეს.

დღეიდან ბალკანურ ხალიჩაზე ახალგაზრდა „კლასიკოსები“ გავლენ.

◎ ჭადრაკი

# ლევანის ონლაინი

**ამასწინათ** **საიუბილეო — მე-80 ეროვნულ ჩემპიონატში მოპოვებულ ოქროს მედალს დიდოსტატმა ლევან ფანცულაიამ 72 ქვეყნის 700 მოჭადრაკის მონაწილეობით გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ონლაინ — ბლიც-ტურნირში გამარჯვება მოაყოლა.**

აღსანიშნავია, რომ მან ერთ-ერთი პარტია შავი ფიგურებით ელვისებურ თამაშში მსოფლიო რეიტინგის ამერიკელ ლიდერს ჰიკარუ ნაკამურას მოუგო და 9,5 ქულა მოაგროვა. ასეთივე შედეგით, მაგრამ უარესი კოეფიციენტებით II-V ადგილები არტემიევმა (რუსეთი), ლიმ (ჩინეთი), კოვალიოვმა (ბელარუსი) და ტარიმ (ნორვეგია) დაიკავეს.

◎ რაგბი

# უკვე - კახეთშიც!

**ბევრი** **იგორა თუ ცოტა, ოვალურმა ბურთმა კახეთსაც მიაგნო.**

საუბარია თელავის „კავკასიონი არენაზე“, სადაც ისტორიაში პირველად 26 ივნისს საქართველოს ეროვნული ნაკრები ვადამდე, უკვე მეცამეტედ მოგებული რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ტურის შეხვედრაში ბელგიასა და ნიდერლანდებს შორის 29 მაისს გასამართავ თამაშში გამარჯვებულს უმასპინძლებს.

სრკ-ის განცხადებით, მხარისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ხელს შეუწყობს რეგიონში სპორტის გამორჩეულად ვაჟკაცური სახეობის პოპულარიზაციასა და ტურიზმის აღორძინებას, რაშიც ძნელია არ დაეთანხმო მის მესვეურებს. ვიმედოვნებთ, ზაფხულისა და შემოდგომის საეტაპო ტესტების წინ „ბორჯღალოსნებს“ სასიკეთოდ დაეკვებებათ მადლიან კახურ მიწაზე მოპოვებული მომავალი წარმატება.

◎ კალათბურთი

# ოკეანის გაღმა-გამოღმა

**რეგულარული** **სეზონის ფინიშზე სასიკეთოდ ვითარდება მოვლენები ნბა-ს ერთადერთი ქართველი მოთამაშის — გოგა ბითაძის ირგვლივ, რომელმაც, რომ იტყვიან, საკუთარი ოფლის ფასად მოიპოვა „ინდიანას“ სამწვრთნელო შტაბის ნდობა და უკვე ნელ-ნელა სასტარტო ხუთეულსაც უშინაურდება.**

საილუსტრადიციოდ პლეი-ინის შეხვედრა გამოდგება „შარლოტთან“, რომელიც „პეისერზმა“ 144:117 მოიგო, ჩვენი თანამემამულე კი პარტნიორებს ორმაგი დუბლით შეეწია: 14 ქულა, 10 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 3 დაფარება 18 წუთსა და 42 წამში.

შეგახსენებთ, რომ წინა მატჩში „ლეიკერზთან“ „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა თვით „მეფე“ ლებრონ ჯეიმსსაც დაუფარა, დღეს კი მისი გუნდი პლეი-ოფში გასასვლელად ბრძოლას „ვაშინგტონთან“ გამართავს.

* * *

**გაირკვა** **სუპერლიგის ფინალში „რუსთავის“ მეტოქის ვინაობა. ესაა ნიკოლოზ ჩერძეზიშვილის გაწვრთნილი „ცხუმ-აფხაზეთი“, რომელმაც დრამატულ საპლეიოფო სერიაში თბილისის „დინამო“ 2:1 დაამარცხა.**

უკვე გაუწყეთ, რომ დაძაბულობა არც მათ წინა დუელებს აკლდა, მაგრამ ნერვების ომში გადაზრდილი დასკვნითი აკორდი განსაკუთრებული ვნებათაღელვით გამოირჩეოდა და მისი ბედი უკანასკნელ წამებზე გადაწყდა — 86:84. აღსანიშნავია, რომ ამჯერად როლები შეიცვალა და თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში მეტოქის დევნამ მასპინძლებს მოუწიათ.

დასკვნითი პერიოდის სტარტზე ბრწყინვალედ მოთამაშე **ბულაშვილისა** (30 ქულა) და **უოკერის** (22 ქულა) ძალისხმევით მუჰამედ ტაჩის შეგირდები, როგორც იქნა, დაწინაურდნენ — 64:63 და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ ზღვისპირელები ფსიქოლოგიურად გატეხეს კიდეც, მაგრამ კრიტიკულ ვითარებაში **გრინს, შარაბიძეს, ჩეჩელაშვილს, ფევაძესა** და **გოგოძეს** მეორე სუნთქვა გაეხსნათ, ჩარხის მეორედ შემოსატრიალებლად კი წყვილში ფავორიტად მიჩნეულ „თეთრლურჯებს“ აღარც მორალური რესურსები შემორჩათ, აღარც ფიზიკური კონდიციები და აღარც დრო ეყოთ.

დავძენთ, რომ ისინი ძირითადმა ცენტრმა ედვარდსმაც დააღალატა, რომელმაც მატჩი უჩვეულოდ მჭლე პირადი მონაგრით — 1 ქულით(!) დაასრულა. სატიტულო ბრძოლების სერია სამ მოგებამდე „რუსთავსა“ და „ცხუმ-აფხაზეთს“ შორის 23 მაისს ქვემო ქართლში დაიწყება.

* * *

**ვითიბი ლიგა. ნახევარფინალი.**

„ზენიტი“ — ცსკა 107:104 (დამატებით დროში). **თორნიკე შენგელია** — 27 ქულა.

სერიის ანგარიში — 1:1.

* * *

**ესპანეთი. ლიგა ენდესა. XXXV ტური.** „სარაგოსა“ — „ტენერიფე“ 60:91. **გიორგი შერმადინი** — 20 ქულა.

**ლიდერთა ჯგუფი.** „რეალი“ — 64, „ბარსელონა“ — 60, „ტენერიფე“ — 58 ქულა.

**ხვალ:** „ტენერიფე“ — „ბარსელონა“.

◎ ფეხბურთი

# ტრავმაც, დებიუტიც...

**როგორც** **მოგეხსენებათ, 2 და 6 ივნისს ვილი სანიოლის გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები პლოეშტსა (22 საათსა და 45 წუთზე) და ენსხედეში (20 საათზე) ამხანაგურ მატჩებს გამართავს, შესაბამისად, რუმინეთისა და ნიდერლანდების მთავარ გუნდებთან.**

„ჯვაროსნები“ შეკრებაზე დამდეგი ორშაბათიდან გადავლენ და თბილისში 31 მაისის ჩათვლით ივარჯიშებენ, სპარინგებზე კი ტრავმირებული კაპიტნის — **ჯაბა კანკავას** გარეშე გაემგზავრებიან, თუმცა, არის მატებაც — პირველადაა გამოძახებული წყალტუბოს „სამგურალის“ 22 წლის თავდამსხმელი **სერგო კუხიანიძე**.

რაც შეეხება ფრანგი სპეციალისტის 26 რჩეულს, მათი სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** ლორია, კუპატაძე, მამარდაშვილი;

**მცველები:** კაშია, კაკაბაძე, დვალი, ხოჭოლავა, გიორბელიძე, კვირკველია, ჩაბრაძე, აზაროვი;

**ნახევარმცველები:** კვეკვესკირი, აბურჯანია, ლობჟანიძე, ჯიღაური, კიტეიშვილი, კვარაცხელია, გვილია, დავითაშვილი, დაუშვილი, ყაზაიშვილი, შენგელია;

**თავდამსხმელები:** ოქრიაშვილი, მიქაუტაძე, კუხიანიძე, ზივზივაძე.

დავძენთ, რომ ორივე შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგვთავაზებს.

◎ ყოჩაღ!

# ღირსებას მატებს

**ვარსკვლავი** **რომ ვარსკვლავს საკადრისს მიუზღავს, ამით მხოლოდ მისი ღირსებები წარმოჩინდება, არადა, რამდენი შემთხვევა ვიცით, როცა კორიფეები ლაფში სვრიან ერთმანეთს და კონკურენტის ყოველ აღიარებაზე ბოღმა ახრჩობთ.**

ამჯერად დიდი სლემის ტურნირების 23-გზის ჩემპიონ **სერენა უილიამსზე** გავამახვილებთ ყურადღებას, რომელმაც კეისარს კეისრისა მიაგო და ჩოგბურთის განვითარებაში ლეგენდარული **როჯერ ფედერერის** მიერ შეტანილ წვლილზე ისაუბრა:

**„...ის არის სიდიადისა და მაღალი კლასის განსახიერება, რომელმაც ჩოგბურთი შეცვალა. მის სტილში თამაშს, მოძრაობასა და ტექნიკის მიბაძვას ბევრი ცდილობს. ეს ბიჭი, უბრალოდ, გენიოსია.**

**მას უდიდეს მოვლენად მივიჩნევ. შეხედეთ — შეუძლებელია, რომ არ გიყვარდეს. მისი თამაში საოცარია და მეც მინდა, რომ მასავით ვთამაშობდე“.**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

1. გამოცხადდეს არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 2021 წლის 20 მაისს.

4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2021 წლის 22 ივნისს და გაგრძელდეს 5 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე 10.00 საათიდან 17.00 საათამდე (გარდა შაბათ-კვირისა) მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №61, პირველი სართული, ოთახი №1 (თავისუფალი სივრცე).

5. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნულ დღეებში, კანდიდატები აკადემიურ საბჭოს წარუდგენენ თავიანთ სამოქმედო გეგმას. აკადემიური საბჭო ეცნობა თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

6. რექტორის არჩევნები დაინიშნოს 2021 წლის 15 ივლისს.

7. არჩევნების შედეგები ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი დადგენილების გამოქვეყნებისთანავე.

8. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

გ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

თ) ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ;

ი) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

## საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### არბიტრაჟის სახელით

საქმე №01-67/2020

ქ. თბილისი 5 მარტი, 2021 წელი

**საარბიტრაჟო სხდომის თავმჯდომარე** – მამუკა ღვინიაშვილი
**რეგისტრატორი** – ქეთევან დუმბაძე
**მოსარჩელე** – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" (**წარმომადგენელი** გიორგი ქათამაძე)
**მოპასუხე** – ნინო ჩიჩუა
**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-9, 28-ე მუხლებით და

### გ ა დ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე :

1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2. ნინო ჩიჩუას 2017 წლის 18 ნოემბრის საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ს/ს 'ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სასარგებლოდ დაეკისროს 3999.65 ლარის გადახდა, საიდანაც 2668.77 ლარი არის ძირითადი თანხა, 395.93 ლარი პროცენტი, 934.95 ლარი პირგასამტეხლო.

3. ნინო ჩიჩუას საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შესახებ 2018 წლის 19 ოქტომბრის ხელშეკრულების საფუძველზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სასარგებლოდ დაეკისროს 922.15 ლარის გადახდა, საიდანაც 496.72 ლარი არის ძირითადი თანხა, 130.76 ლარი პროცენტი, 294.67 ლარი პირგასამტეხლო.

4. ნინო ჩიჩუას დაეკისროს საარბიტრაჟო მოსაკრებლის 246.09 ლარის და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის გაწეული ხარჯის 81.50 ლარის გადახდა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სასარგებლოდ.

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გრამიტონ ხურციძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გრამიტონ ხურციძე (პ/ნ 60001130910), ქუთაისი, მაისურაძის ქ. 13, სართული 8, ბინა №86

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქუთაისი, მაისურაძის ქ. 13, სართული 8, ბინა №86 (საკადასტრო კოდი: 03.05.01.067.01.086).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15575.33 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 20 მაისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 4 ივნისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 710202

6. **მოვალე:** ზვიად ხურციძე (პ/ნ 52001015461), ქუთაისი, მაისურაძის ქ. 13, სართ. 8, ბინა №86.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP71020221; ლოტის ნომერი: 710202).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 4 ივნისის 10:00 საათამდე.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თინა ძმორაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თინა ძმორაშვილი (პ/ნ 43001018968), ქარელი, ს. საღოლაშენი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქარელი, ს. საღოლაშენი (საკადასტრო კოდი: 68.11.50.000.387).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 31822.74 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 20 მაისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 4 ივნისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP71018621;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 710186

6. **მოვალე:** ელგუჯა ძმორაშვილი (პ/ნ 43001029407), ქარელი, ს. საღოლაშენი;
თინა ძმორაშვილი (პ/ნ 43001018968), ქარელი, ს. საღოლაშენი;
დავით შუბითიძე (პ/ნ 43001007075), ქარელი, ს. საღოლაშენი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP71018621; ლოტის ნომერი: 710186).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 4 ივნისის 10:00 საათამდე.

# სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 06 აპრილის №1-1/136 ბრძანების შესაბამისად**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახორციელებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ჯვარი-ხორგას დამაკავშირებელ პროექტს. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №122 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის“ შემადგენელ ნაწილს და ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) და ევროსაბჭოს სამეზობლო საინვესტიციო ფონდის (NIF) დაფინანსებით. პროექტი მოიცავს დაახლოებით 2X8 კმ სიგრძის 500 კვ გადამცემი ხაზის მშენებლობას, 500 კვ „კავკასიონის“ ხაზის შეჭრით და დაახლოებით 60 კმ (220 კვ) ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას ჯვარიდან ხორგაში, რაც გულისხმობს ახალი 220 კვ ორჯაჭვა ეგხ-ს მიერთებას ხორგის 220 კვ და ჯვარის 500 კვ ქვესადგურთან. პროექტით ასევე გათვალისწინებულია ახალი 500/200 კვ ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში - ქვესადგურის 500 კვ მხარის მოწყობა ამომრთველის ერთნახევარი სქემით, ორი დიაგონალით.

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა მოქალაქე ანატოლი ჩუხუას (პ/619001005766) საკუთრებაში არსებულ 253 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ს/კ 43.06.42.565 გამოსყიდვა. მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული მისი საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, განსახლების გეგმით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, რაზედაც მან უარი განაცხადა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოება აფერხებდა პროექტის განხორციელებას, ხოლო მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვების გარეშე შეუძლებელია პროექტის განხორციელება, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ წერილობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის პროცედურების დაწყებისა და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მოთხოვნით.

წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 06 აპრილის №1-1/136 ბრძანებით ჯვარი-ხორგას შემაერთებელი ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი ჩაითვალა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიენიჭა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მესაკუთრე ანატოლი ჩუხუას (პ/619001005766) უძრავი ქონებაზე მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭაქვინჯი, ს/კ 43.06.42.565 ფართით 253მ².

# ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს აუქციონს

**მის ბალანსზე რიცხული:**

1. ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი #5-ში მდებარე ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე არსებული 100 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: #66.45.13.032), იჯარის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით გაცემის მიზნით;

2. მის საკუთრებაში არსებული, OPGW ტიპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის/გვარლის (საკადასტრო კოდი: 32.00.137) თავისუფალი რესურსის, 2 ერთ. ოპტიკური წვერის (ერთი წყვილი) იჯარის ფორმით 3 (სამი) წლის ვადით გაცემის მიზნით.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge და ასევე, www.eauction.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი

ტელეფონი: ქალაქის–2–510–281 მობილური: 577 240–233

# გორის გვირაბებში ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება

**საქართველოს** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 88-ე კმ-ზე მდებარე გორის საავტომობილო გვირაბში, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების მიზნით, 2021 წლის 25 მაისის 23:00 სთ-დან 26 მაისის 02:30 სთ-მდე გვირაბის – თბილისი-სენაკის, ხოლო 26 მაისის 02:30 სთ-დან 05:00 სთ-მდე გვირაბის – სენაკი-თბილისის მიმართულებებზე, იკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

საავტომობილო გვირაბის თბილისი-სენაკის მიმართულების ჩაკეტვის პერიოდში ავტოტრანსპორტის ნაკადი გადაერთვება გვირაბის – სენაკი-თბილისის მიმართულებაზე და სენაკი-თბილისის მიმართულება გადაერთვება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გორის გვირაბების შემოსავლელ საავტომობილო გზაზე.

საავტომობილო გვირაბის სენაკი-თბილისის მიმართულების ჩაკეტვის პერიოდში, ავტოტრანსპორტის ნაკადი გადაერთვება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გორის გვირაბების შემოსავლელ საავტომობილო გზაზე. ამ რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით.



# ფოთში არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს

**გაფორმების** ეკონომიკურ ზონაში „ფოთი“, სამართალდარღვევის ფაქტი აღიკვეთა, - ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქის გ.ჟ-ს კუთვნილ ტვირთს, მებაჟე ოფიცრების მიერ მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და ეჭვის საფუძველზე, კონტროლის წითელი დერეფანი განესაზღვრა. უფლებამოსილი პირის მიერ ტვირთის დეტალური დათვალიერების შედეგად, დეკლარირებულ საქონელთან ერთად, 48 400 ლარის ღირებულების, არადეკლარირებული პროდუქცია გამოვლინდა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

## სანთელი

# ქეთევან დოლიძე-ჯაფარიძისა

94 წლისა განერიდა ამ ცოდვამადლიან წუთისოფელს თვალსაჩინო მწერლისა და პუბლიცისტის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მუდამ სასურველი ავტორის რევაზ ჯაფარიძის ერთგული მეუღლე და თანამებრძოლი **ქეთევან დოლიძე-ჯაფარიძისა.**

ახალგაზრდა ექიმმა იმთავითვე თქვა უარი პროფესიულ მოწოდებაზე და დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეროვნული იდეალების ხმალამოღებული დამცველი თანამეცხედრის დასაყრდენი და თანამოაზრე გახლდათ, მისი დაკარგვის შემდეგ კი მუდამ აწონილი სიტყვით გამორჩეული კალმოსნის მდიდარი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის შთამომავლობისთვის მოფრთხილება დაისახა მიზნად და ეს მამულიშვილური „მძიმე ჯვარიც“ ღირსეულად ზიდა.

ოჯახის ბურჯად დარჩენილი სულით ძლიერი მანდილოსანი შესაშური სიმტკიცით გაუმკლავდა კიდევ ერთ პირად ტრაგედიას – ერთადერთი ვაჟის გიორგი ჯაფარიძის გარდაცვალებასაც და ვალმოხდილმა დაივანა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მარადიული რჩეულისა და მეგობრის, უკვდავი მწერლის რევაზ ჯაფარიძის გვერდით.

ნათელი და სანთელი, ძვირფასო ქალბატონო ქეთევან!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.**

## სანთელი

ოთარ ჭითანავა და ცეზარ ლაშხი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი პარტიული და სამეურნეო მუშაკის, უახლოესი მეგობრის, თავისი საქმის დიდი პროფესიონალისა და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნების

# თენგიზ ტრაპაიძის

გარდაცვალებას. სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და საახლობლოს.

## სანთელი

მეუღლე მზია, შვილი ანნა, ძმა ბადრი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

# ნუკრი ოჩიგავას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 21.V 5 სთ-ზე. დასაფლავება 22.V 15 საათზე.

მისამართი: ხილიანის ქუჩა, წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან

პანდემიამ, მსოფლიოს მოდებულმა ვირუსმა კიდევ ერთი გულიანი, თბილი, ქალაქზე, ოჯახსა და მეგობრებზე მოსიყვარულე კაცი გამოგვაცალა ხელიდან, 58 წლის ასაკში გარდაიცვალა

# ნუკრი ოჩიგავა

ვინც კი იცნობდა და ახლობლობდა მასთან, ვისაც კი მისი სახელი სმენია, გულდათუთქული გაიხსენებს მის სიკეთეს, მეგობრებისადმი ერთგულებას, უბნისა და ქალაქის სიყვარულს. კოლორიტული პიროვნება მართლაც, რომ დაგვაკლდა ყველას, პირველ რიგში მოსიყვარულე მეუღლეს, ქალიშვილს, ძმას, სანათესაოს. ნათელში იყოს შენი სული ზეციურ საქართველოში, ერთგულო ძმაო.

**მეგობრები**

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

# აბრეშუმის უნიკალური მუზეუმი მთლიანად განახლდება

**თბილისის** განვითარების ფონდმა, პროექტ „ახალი ტფილისის“ მუზეუმების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის რესტავრაცია-რეაბილიტაცია დაიწყო.

**„პროექტის ბიუჯეტი 3 მლნ 300 ათასი ლარია და ის „მთლიანად ან ნაწილობრივ ფრანკოფონი დედაქალაქებისა და მეტროპოლიების მერებისა და ხელმძღვანელთა საერთაშორისო ასოციაციის“ თანადაფინანსებით ხორციელდება. მე-19 საუკუნეში აგებული შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დასრულება 2022 წლის დეკემბერში იგეგმება. აღსანიშნავია, რომ მუზეუმში დაცულია სხვადასხვა ტიპის უნიკალური კოლექციები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის კავკასიისა და მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში აბრეშუმის ქსოვილების წარმოებასა და გამოყენებაზე ისტორიული, ხელოვნებათმცოდნეობის, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური კუთხით. ქართული კოლექცია თავისი მნიშვნელობით უნიკალურია და მას ანალოგი არ მოეძებნება.**

**ბიოლოგიური და იზოტოპიური თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური აბრეშუმის პარკებისა და ძაფების ნიმუშები. პარკების უმრავლესობა მუზეუმში მე-19 საუკუნის ბოლოს შემოვიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, ეს კოლექცია ინახავს დათარიღებულ, დაუმუშავებელ აბრეშუმს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მეორე მხრივ მასში დაცულია ინდუსტრიალიზაციამდელი ჩინეთის, იაპონიის, ცენტრალური აზიის, ოსმალეთის (სირია, თურქეთი, საბერძნეთი) და დასავლეთ ევროპის მეაბრეშუმეობის ფერმებიდან წამოღებული ადგილობრივი გენეტიკური კოდი“,** — აღნიშნავენ თბილისის მერიაში.

# „ფორსაჟის“ პრემიერა ჯერ საქართველოში, შემდეგ - ამერიკაში!..

**„კავეა სითი მოლში“** მძაფრსიუჟეტიანი ფილმ „ფორსაჟის“ მეცხრე ნაწილის პრემიერა გაიმართა. ფილმის პრემიერა საქართველოში ამერიკულ პრემიერამდე ერთი თვით ადრე გაიმართა. აშშ-ში პრემიერა 25 ივნისს არის დაგეგმილი.

საქართველოში „ფორსაჟი 9“-ის ეპიზოდების გადაღება 2019 წლის 19 აგვისტოდან 22 სექტემბრამდე გაგრძელდა. გადაღებები ძველ თბილისში, რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას გამზირებზე, ასევე ქალაქ რუსთავში მიმდინარეობდა. გადაღებები პროექტის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა.

**„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე, რომელსაც მთელ მსოფლიოში ელოდნენ, მათ შორის საქართველოში. დღეს იყო „ფორსაჟი 9“-ის ჩვენება, რომლის 10-წუთიანი მონაკვეთის გადაღებები განხორციელდა საქართველოში. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მილიონობით ადამიანი მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ნახავს თბილისის ქუჩებს, რაც ახლა, კოვიდპანდემიის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ეს არის უფასო მარკეტინგული რეკლამა, რომლის მონეტარული შეფასებაც ძალიან რთულია. ჩვენ ვიცით ძალიან ბევრი მაგალითი სერიალების, ფილმების, როდესაც კონკრეტულმა ქალაქებმა, ქვეყნებმა საგრძნობლად გაზარდეს ცნობადობა და სწორედ კონკრეტული ფილმის გამო ხდება ქვეყანაში ჩასვლა. ამიტომ, ყველა მოხარული ვართ, რომ ძალიან ნაყოფიერი შრომის შედეგად, კომპანია „ენკენის“ მონაწილეობით, სახელმწიფო უწყებების ძალიან აქტიური ჩართულობით და დახმარებით, ეს პროექტი თბილისში განხორციელდა. კონკურენტები მრავლად იყვნენ, მაგრამ ჩვენ შევძელით, რომ უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ გადაღებები, რითაც კმაყოფილია კომპანია „უნივერსალი“, რადგან ეფექტურად განხორციელდა გადაღება, დაიზოგა ხარჯები და რაც ყველაზე მთავარია, ქვეყანაში დაიხარჯა 25 მილიონი ლარი. ეს არის თანხა, რომელიც პირდაპირ შევიდა ქვეყნის ბიუჯეტში. მხოლოდ „ფორსაჟის“ მეშვეობით, ქვეყნის ბიუჯეტში შევიდა სამი მილიონი ლარის გადასახადი, დასაქმდა ბევრი ადამიანი, რომლებმაც მიიღეს ფასდაუდებელი გამოცდილება“,** — განაცხადა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორმა, მიხეილ ხიდურელმა.

# საცავებიდან გატანილი ექსპონატები უკან ბრუნდება

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეას 2010 წელს მათი საცავებიდან გატანილ ექსპონატებს უბრუნებს.**

სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, სამინისტროს შენობაში მოძიებულ იქნა ყველა ის ექსპონატი, რომელიც ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს გატანილი იქნა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეიდან.

**უწყების ცნობით, 12 ფერწერული ტილო, რომლებიც დაუბრუნდნენ მუზეუმებს, გახლავთ: „ძველი სასაფლაო — ბაზილიკა“ — ედმონდ კალანდაძე; „ნატურმორტი“ — გურამ (ხიტა) ქუთათელაძე; „განდევნა“ — ლევან ლაღიძე; „ფასანაური“ — ელენე ახვლედიანი; „ძველი ქუთაისი“ — ელენე ახვლედიანი; „პეიზაჟი“ — გურამ (ხიტა) ქუთათელაძე; „ფოთოლცვენა“ — იდა ოცხელი; „მოხუცი ქალი შემოდგომის ყვავილებით“ — რადიშ თორდია; „შემოდგომა“ — მიხეილ ხვიტია; „ძველი სახლი“ — თენგიზ ცხონდია; „დანტე“ — სერგო ქობულაძე; „შოთა რუსთაველი“ — სერგო ქობულაძე.**

**„ექსპონატები, რომლებიც დანაკლისში აღმოჩნდა, ესენია — ჩეხეთში 2010 წელს გატანილი ირაკლი სუთიძის ნამუშევარი „ნატურმორტი“, თენგიზ ცხონდიას — „ქართლი“, ომარ კაჭკაჭიშვილის — „ადრეული გაზაფხული“, მხატვარ გურამ ნავროზაშვილის „აღორძინება“. 2010 წელს სამინისტრომ ისინი გაამგზავრა ჩეხეთში. ვფიქრობთ, დავაბრუნოთ, პროცესი დაწყებულია, ვართ იმედიანად. საგარეო საქმეთა სამინისტროს ქმედითი ხელშეწყობისთვის მინდა მადლობა გადავუხადო. როგორც კი ისინი საქართველოში შემობრძანდებიან, ადგილს დაიდებენ შესაბამის ფონდებში“.**

# ევროკავშირის ელჩი ძველკოლხურ სამყაროში

**მუზეუმის** საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი ეწვია.

**„აქ გამოფენილი ექსპონატების კულტურული სიმდიდრე სუნთქვისშემკვრელად ლამაზია. ეს კულტურული მემკვიდრეობა არის მნიშვნელოვანი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. როდესაც ამ ექსპონატებს უყურებ, ეს არის არა მხოლოდ ექსპონატები, არის ის, თუ როგორ შეიძლება ამით ისტორიის მოყოლა. ევროკავშირი ცდილობს, მხარი დაუჭიროს ყოველგვარ ასეთ ინიციატივას და დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა“,** — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმის კოლექციებში დაცულია ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი და მისი შემოგარენის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ძვ.წ. VIII-I საუკუნეებით თარიღდება. ვანის ნაქალაქარი მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლია, აქ მოპოვებულ მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანტიკური სამყაროს შესწავლისთვის, მით უფრო, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან მოყოლებული ძვ.წ. I საუკუნემდე ვანი კოლხეთის — ოქროს საწმისის ქვეყნის — რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. მდიდრულ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, მუზეუმში პირველად არის წარმოდგენილი კოლხური ოქრომჭედლობის დამზადების ტექნოლოგიის ამსახველი მასალა და ძველი კოლხების ცოდნა ოქროს მოპოვებისა და დამუშავების შესახებ. ვანის მუზეუმის რეაბილიტაცია 2020 წელს, ეროვნული მუზეუმის გუნდის 10-წლიანი მუშაობის შემდეგ, პანდემიის მიუხედავად, დასრულდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 24 მაისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.3770; ევრო - 4.1213;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7832;
100 რუბლი - 4.5801; თურქული ლირა - 0.4017;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9892;
1000 სომხური დრამი - 6.4787.

**ამინდი 21 მაისისთვის**
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +33
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +20, დღე +38
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +33
თბილისი: ღამე +17, დღე +33

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge